ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 2854

" 3 " ოქტომბერი 2012 წ.

ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.049), საოფისე შენობისა და სასაწყობო მეურნეობის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის სხდომის №37 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.049), საოფისე შენობისა და სასაწყობო მეურნეობის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №37

ქ. თბილისი 19 სექტემბერი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი
მდივანი ნინო გვენცაძე

კომისიის წევრები: დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, დავით აბულაძე, გიორგი ტყემალაძე, მანუჩარ მახათაძე.

მოწვეულები: უ. უგულავა, მ. ფოცხვერაშვილი, ვ. აბრამიშვილი, ვ. ტოკლიკიშვილი, გ. ტოკლიკიშვილი, დ. მახარობლიძე, დ. ლოსაბერიძე, თ. ესიავა, ალ. ჯინჭველაძე, ბ. კურტანიძე, ე. მირზაევი, დ. ნოზაძე, გ. მდივანი, დ. ძებნიაური, ბ. ყაველაშვილი, ი. გაბუნია, კ. გაბუნია, ლ. გაბუნია, მ. ზვიადაძე, კ. კვანალიანი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

23. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, სახალხოს ჩიხის №17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.029.020) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

24. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მ. მესხის ქ. №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.20.055.022) არსებული საცხოვრებელი სახლისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

25. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, სამრეწველო დასახლების №2 ქუჩის №42-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.35.001.053) ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

26. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, წურწუმიას ქ. №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.01.076.005) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, ოფისები, მაღაზიები) განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

27. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვაზისუბნის დასახლება, I მიკრორაიონი, I და II მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.001.059) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

28. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ცხვედაძის ქ. №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.053.071) მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების შემცირების შესახებ.

29. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მეგრელიძის ქ. №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.15.025.016) ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

30. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.049) საოფისე შენობისა და სასაწყობო მეურნეობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

31. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ ფერდობზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.040.427) I კლასის საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,8.

განხილვის შედეგი: მომხრე: 6, წინააღმდეგი: 1.

30. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.049) საოფისე შენობისა და სასაწყობო მეურნეობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – ნ. კაციტაძე. AR 173771
დადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა 2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.001.049) საოფისე შენობისა და სასაწყობო მეურნეობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

31. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ ფერდობზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.040.427) I კლასის საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – ზ. მიდელაშვილი. AR 180141
დადგენილი ზონის სახეობა - სარეკრეაციო ზონა 2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.

- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ თხინვალას მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩარჩო გეგმის შეთანხმებაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 5, წინააღმდეგი: 2.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი მდივანი ნინო გვენცაძე